7442-04-9-2-202007291128

N 04-9/7442
29/07/2020

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
მინისტრს ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ასლი: სსიპ შეფასებისა და
გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს
ქალბატონ სოფიო გორგოძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

(ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზების დროს რელიგიური საჭიროებების
გათვალისწინებასთან დაკავშირებით)

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 21–ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველს გ. წ.-სა და ლ. გ.-ს რელიგიის თავისუფლების დარღვევასთან დაკავშირებით სსიპ - „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ტრანსკავკასიური უნიონის“ წარმომადგენელმა ბ. ჭ.-მ და ააიპ „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ დირექტორმა - ე. ჭ.-მ განცხადებებით მიმართეს. სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაცია[1] საფუძვლად დაედო აღნიშნულ წინადადებას.

1. **ფაქტობრივი გარემოებები:**

განცხადებების მიხედვით, გ. წ. და ლ. გ. არიან - „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის“ წევრები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ 2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში. საქართველოში ახალი კორონავირუსის მასშტაბურად გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, გარკვეული რეგულაციები და შეზღუდვები საგამოცდო

[1] სსიპ გამოცდების შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 13 ივლისის N MES 2 20 0000592171 და 2020 წლის 14 ივლისის N MES 6 20 0000596883 წერილები.

პროცესსაც შეეხო. კერძოდ, საგამოცდო ოთახში შეიზღუდა მონაწილეთა დასაშვები რაოდენობა, რის გამოც საგამოცდო დღეები გახანგრძლივდა და საჭირო გახდა გამოცდების შაბათ-კვირას დანიშვნა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით[2] დამტკიცდა საგამოცდო თარიღები. განმცხადებლებს ერთ-ერთ საგამოცდო საგნად არჩეული ჰქონდათ ინგლისური ენა, რომლის თარიღად მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა 17, 18 და 19 ივლისი. ლ. გ.-სა და გ. წ.-ს გამოცდა 18 ივლისს - შაბათ დღეს დაენიშნათ.

განმცხადებლები უთითებენ, რომ მათი რელიგია კრძალავს შაბათ დღეს სხვადასხვა სეკულარულ ღონისძიებებსა და აქტივობებში მონაწილეობას, რის გამოც მოითხოვეს საგამოცდო თარიღის შეცვლა სხვა ნებისმიერი დღით - გარდა შაბათისა. თუმცა მათ აღნიშნულზე სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ უარი ეთქვათ. უარყოფითი გადაწყვეტილების მოტივად მიეთითა, რომ განმცხადებლებმა მხოლოდ მას შემდეგ მიმართეს ცენტრს გამოცდის სხვა დღეს დანიშვნის მოთხოვნით, როდესაც აბიტურიენტთა განაწილების პროცესი დასრულებული იყო. ხოლო, აბიტურიენტთა განაწილების პროცესი ელექტრონული პროგრამით მიმდინარეობდა და მასში ჩარევა მთლიან საგამოცდო პროცესს უქმნიდა საფრთხეს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აბიტურიენტების საგამოცდო თარიღის შეცვლასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ცენტრს დანიშნული თარიღის შეცვლა დაავალა, რაც აღსრულდა ცენტრის მიერ. მართალია, ინდივიდუალურ შემთხვევაში თარიღი შეიცვალა და ცენტრის არგუმენტი, განაწილების ელექტრონული პროცესზე ზემოქმედების შეუძლებლობასთან დაკავშირებით ეჭვქვეშ დადგა, თუმცა არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ აბიტურიენტს არ აქვს ცალსახა და განჭვრეტადი შესაძლებლობა მიუთითოს საკუთარ რელიგიურ საჭიროებასთან დაკავშირებით და ორგანიზების პროცესში მოხდეს მისი გათვალისწინება. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველის მიერ წინადადებით მომართვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

2. **სამართლებრივი დასაბუთება:**

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, *„ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება“.* აღნიშნული თავისუფლება ასევე დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე–9 მუხლით, რომლის თანახმად, *„ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე, თავისუფლებას იმისა, რომ ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით“.* რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც არა მხოლოდ ადამიანის

[2]საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 ივნისის N MES 5 20 00450500 ბრძანება.

უფლებათა ევროპული კონვენციით, არამედ, ასევე, სხვა მრავალი საერთაშორისო და ევროპული აქტით არის დაცული.[3]

რელიგიის თავისუფლებით დაცული სფერო მოიცავს პირის უფლებას ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად აღიარებდეს ნებისმიერ რელიგიას ან არ აღიარებდეს არცერთს, თავისუფლად აირჩიოს, ჰქონდეს და გაავრცელოს რელიგიური ან არარელიგიური მრწამსი და **იმოქმედოს მათ შესაბამისად.[4]** დაცული სფერო მოიცავს როგორც ადამიანის შინაგან რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ რწმენას (შინაგანი თავისუფლება), ისე რელიგიური და მსოფლმხედველობრივი რწმენის გამოვლინების თავისუფლებას (გარეგანი თავისუფლება). რელიგიის თავისუფლების გამოვლინება კი თავის მხრივ, მოიცავს იმ რიტუალურ და ცერემონიულ მოქმედებებს, რომლებიც ადამიანთა მრწამსის გამოხატვას ემსახურება და რომელთა რეალიზებაც მოითხოვს სალოცავი ადგილების აშენებას, საკულტო საგნებისა და წეს-ჩვეულებების გამოყენების შესაძლებლობას. რელიგიისა და მრწამსის გამოხატვა გულისხმობს არა მხოლოდ გარკვეულ ცერემონიულ მოქმედებებს, არამედ **ასევე გარკვეული ჩვეულებების დაცვასაც.[5]** მნიშვნელოვანია ისიც, რომ რელიგიის მანიფესტაციის უფლება **რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნისა და დასვენების დღეებით სარგებლობის უფლებასაც მოიცავს.[6]**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, რწმენის თავისუფლება მოიცავს მისი გამოვლენის – რწმენის შესაბამისად ცხოვრების წარმართვის უფლებასაც (მოქმედების სფერო). რწმენის თავისუფლება არარეალური და არარეალიზებადი იქნება, მის შესაბამისად ადამიანების კომუნიკაციის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. თუ არ არის გარანტიები რწმენის შესაბამისად ცხოვრების წესის წარმართვისა და განვითარებისათვის, აზრი ეკარგება საერთოდ ამ უფლების აღიარებას.[7] ხოლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ მრწამსი რელიგიის თავისუფლების ფარგლებში მოექცეს, ის დამაჯერებლობის, სერიოზულობის, ერთიანობისა და მნიშვნელობის გარკვეულ დონეს უნდა აღწევდეს. იმ პირობებში, როდესაც ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება შეუთავსებელია სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერ უფლებამოსილებასთან შეაფასოს რელიგიურ მრწამსის ან მათი გამოხატვის გზების ლეგიტიმურობა.[8]

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციების, რელიგიის თავისუფლებით დაცული სფეროსა და სასამართლოს განმარტებების მიმოხილვის საფუძველზე ცალსახად უნდა ითქვას, რომ გ. წ. - სა და ლ. გ. -ს ქმედება (შაბათ დღეს სეკულარულ ღონისძიებებში მონაწილეობაზე უარის თქმა) დაცულია რელიგიის თავისუფლებით. როგორც უკვე აღინიშნა, რელიგიის თავისუფლება რელიგიურ დღესასწაულების აღნიშვნასა და დასვენების დღეებით სარგებლობასაც მოიცავს. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით მათი ქმედება აღწევს დამაჯერებლობის, სერიოზულობის, ერთიანობისა და მნიშვნელობის შესაბამის დონეს, რის გამოც

---

[3] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18 მუხლი და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლი.

[4] ძირითადი უფლებები, კ. კუბლაშვილი,გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2005 წელი, გვ. 138.

[5] Human Rights Committee, General Comment 22, Article 18 (Forty-eighth Session, 1993). Para. 4.

[6] Human Rights Committee, General Comment 22, Article 18 (Forty-eighth Session, 1993). Para. 4.

[7] საქართველოს საკონსტიტუციოსასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება, &13.

[8] Eweida and Others v. the United Kingdom, § 81.

ვფიქრობთ, რომ შაბათ დღეს გამოცდაში ალტერნატივის შეთავაზების გარეშე მონაწილეობის იძულება, წარმოადგენს რელიგიის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევას.

რელიგიის გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და მის შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა. კერძოდ, რელიგიის მანიფესტაცია შესაძლოა შეიზღუდოს თუ აღნიშნული გათვალისწინებულია კანონით და შეზღუდვა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ხოლო თავის მხრივ, შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზანს.[9] ერთიანი ეროვნული გამოცდების მარეგულირებელი კანონმდებლობა, კერძოდ კი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი[10] არ იცნობს შესაძლებლობას აბიტურიენტმა მითითება გააკეთოს საკუთარ რელიგიურ საჭიროებასთან დაკავშირებით. კერძოდ, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება აბიტურიენტს განაცხადის შევსებისას ნებას რთავს მიუთითოს აბიტურიენტის შესახებ სხვა ინფორმაცია,[11] თუმცა აღნიშნულში ძირითადად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებების მითითების შესაძლებლობა მოიაზრება[12]. შესაბამისად, განმცხადებლები ვერ ივარაუდებდნენ, ერთი მხრივ სპეციალურ საჭიროების გრაფაში რელიგიური საჭიროების მითითების შესაძლებლობის არსებობას, ხოლო მეორე მხრივ გამოცდის შაბათ დღეს დანიშვნას, ვინაიდან გასული გამოცდების ეტაპებზე მსგავსი პრეცენდენტი არ ყოფილა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცენტრი არ აკონკრეტებს როდის შეეძლოთ აბიტურიენტებს განაცხადით მიმართვა, რათა მათი საჭიროებები მხედველობაში ყოფილიყო მიღებული. ყოველივე აღნიშნულის გამო, ვინაიდან ერთიანი გამოცდების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ადგენს რელიგიურ საჭიროებების გათვალისწინებასთან დაკავშირებულ ნორმებს, მოგმართავთ აღნიშნული საკითხის რეგულირების წინადადებით, რადგან მიგვაჩნია, რომ სახეზე არ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, რაც გაამართლებდა ხსენებული უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას, მითითებული რეგულაციის არარსებობა კი სახალხო დამცველის შეფასებით, იწვევს რელიგიის თავისუფლებით დაცულ სფეროში არამართლზომიერ ჩარევას.

დამატებით, აღსანიშნავია, საკითხის შესწავლა თანასწორობის უფლების ჭრილშიც. თანასწორობის უფლება აღიარებულია, როგორც ეროვნულ კანონმდებლობაში, ისე საერთაშორისო დონეზე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი კრძალავს პირთა დისკრიმინაციას სხვადასხვა, მათ შორის რელიგიის, ნიშნით. ეროვნულ დონეზე დისკრიმინაციისგან დაცვა გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

---

[9] საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

[10] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცებისშესახებ“.

[11] იგივე, მუხ. 15, პუნ. 7, ქვპ. ა.ბ.

[12] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.youtube.com/watch?v=Zb1BLYdEv1U [ბოლოს ნანახია: 24.07.20].

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. აღნიშნული მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს ისე მის მიზანს.[13] ასევე, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის[14] თანახმად, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

როგორც უკვე აღინიშნა, გ. წ.-სა და ლ. გ.-ს ქმედება (შაბათ დღეს სეკულარულ ღონისძიებებში მონაწილეობაზე უარის თქმა) ექცევა რელიგიის თავისუფლებით დაცულ სფეროში. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მხრიდან კი, არ მოხდა მათი ინდივიდუალური, მათი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე საჭიროებების გათვალისწინება და მისადაგება საგამოცდო თარიღებთან. მსგავსი ქმედებით, გ. წ. და ლ. გ. არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იმ აბიტურიენტებთან მიმართებით, რომელთა რწმენაც არ კრძალავს გარკვეულ დღეებში სეკულარულ ღონისძიებებში მონაწილეობას. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის უარს ექნებოდა გამართლება იმ შემთხვევაში, თუ ეს დაკავშირებული იქნებოდა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან,[15] თუმცა, მოპასუხეს არ წარმოუდგენია ლეგიტიმური განმარტება. ამასთან, სასამართლოს მიერ საგამოცდო თარიღის ცვლილების დავალდებულების შემდგომ, თარიღის მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში ცვლილების ფაქტი, გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს იმგვარ ტვირთს, რომელიც რელიგიის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევას გაამართლებდა.

შესაბამისად, გ. წ. და ლ. გ. აღმოჩნდნენ არათანაბარ მდგომარეობაში თავიანთი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, ხოლო აღნიშნულით გამოიკვეთა სისტემური პრობლემაც. ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზების პროცესში, მსგავს განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და რელიგიური საჭიროებების გაუთვალისწინებლობა (გამოყენებული შეზღუდვა) არ არის მიზნის მიღწევის პროპორციული, რელიგიის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევასთან ერთად, იწვევს თანასწორობის უფლებაში არამართლზომიერ ჩარევასაც.

3. **დასკვნა:**

---

[13]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე N1/1/493,

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II, 1).

[14] საქართველოს კანონი„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“,მუხლი 2, პუნქტი 2.

[15] გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“, მუხლი 2; აშშ-ს უზენაესი სასამართლოს საქმე Trans Worl Airlines, Inc. v. Hardison, 432 U.S. 63

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმისთვის, რომ მომავალში თავიდან იქნეს აცილებული როგორც რელიგიის თავისუფლებით, ასევე თანასწორობის უფლებით დაცულ სფეროში, გაუმართლებელი ჩარევა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოგმართავთ წინადადებით, უზრუნველყოთ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში იმგვარი ცვლილებების განხორციელება, რომელიც გაითვალისწინებს რელიგიურ საჭიროებებს გამოცდების ორგანიზების პროცესში.

აღნიშნულ წინადადებასთან დაკავშირებით თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24–ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.